



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 40

2016 წლის 15 აპრილი

ქ. თბილისი

მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში
გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის შედეგად
გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მტავარი სპეციალისტის ხატია ანანიაშვილის 2016 წლის 14 აპრილის N380835 სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს 2015 წლის მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
2. მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებული პროექტების წამყვანმა ორგანიზაციამ საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად, სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში (შემდგომში - ფონდი) 2016 წლის 21 აპრილის 17:00 საათამდე უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციების მიერ პროექტისათვის გახსნილი საბანკო ანგარიშის ნომერი (გაცემული ბანკის მიერ) და ცნობა იმის შესახებ, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი (გარდა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსის მქონე წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციებისა);

- ბ) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსის მქონე წამყვანმა და თანამონაწილე ორგანიზაციებმა ხიზინის ერთიან ანგარიშზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით მათთვის განსაზღვრული სახაზინო კოდი;
- გ) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციას არ გააჩნია დავალიანება ბიუჯეტის წინაშე;
- დ) პროექტის ხელმძღვანელის და ძირითადი პერსონალის პირადობის მოწმობის სრული ასლები;
- ე) პროექტის დაზუსტებული ბიუჯეტი.
3. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების ვადა განისაზღვროს 2016 წლის 22 აპრილიდან 2016 წლის 28 აპრილის ჩათვლით.
 4. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, თუა მუავანამქს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება.
 5. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე განთავსებისთანაე.
 6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

